სს ენერგო-პრო ჯორჯია

დადგენილება №რფ-2181-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

ქ. ბათუმი

18 თებერვალი 2021

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

სს ენერგო-პრო ჯორჯიას დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კომისია, თავმჯდომარე სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის იურისტი ჯულიეტა მგალობლიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 18 თებერვალი 2021

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: თამარ დავითიანი, მესტია, ს. ხაიში, პირადი N - 30001007522

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2021 წლის 1 თებერვალს აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ხორციელდებოდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. მოქალაქე მრიცხველის გვერდის ავლით მოიხმარდა ელ. ენერგიას. კერძოდ, კომპანიის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზზე სამართალდარღვევაში მხილებულს არალეგალურად დაერთებული ჰქონდა 35 მ. სიგრძის 4X25 მმ (2) კვეთის ალუმინის სადენი, რომელიც შედიოდა საცხოვრებელ სახლში და ელ. ენერგიას აწვდიდა 6 ცალ ე.წ. მაინერს. შესაბამისად, მრიცხველი არ აღიცხავდა მოხმარებულ ელ. ენერგიას და ადგილი ჰქონდა ელ. ენერგიის დატაცებას. თამარ დავითიანს (პ/ნ 30001007522) 2021 წლის 1 თებერვალს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას N008803 გაეგზავნა დაზღვეული ფოსტის საშუალებით, რომელიც პირადად ჩაბარდა 2021 წლის 17 თებერვალს. სამართალდარღვევაში მხილებულს ასევე, ჩაბარდა უწყება, რომლითაც ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ საქმის გადადების თაობაზე მას არანაირი განცხადებით კომისიისთვის არ მოუმართავს. ამდენად, კომისია სამართალდარღვევაში მხილებულის დასწრების გარეშე უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე. სამართალდარღვევა წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არარსებობა თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი), რომელთა მეშვეობითაც დგინდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96' მუხლის I-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ. ენერგიის უკანონო მოხმარება. დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის I-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96' მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 236-ე, 228²-ე მუხლებით, სემეკის 12.08.2010 №14 და 18.09.2008 N20 დადგენილებებით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 17.09.10 RU2010009 წესით, 13.01.17 OR 2017002 და 20.03.17 OR 2017005 ბრძანებებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე

6. ფიზიკური პირი თამარ დავითიანი ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96' მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. მის.: თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. N 19

უფლებამოსილი პირი
კომისიის თავმჯდომარე
ჯულიეტა მგალობლიშვილი

ENERGO-PRO GEORGIA" WEST GEORGIAN REGIONAL BRANCH
ENERGO-PRO
205169066